

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—ივნისი 2024 წელი


ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩისთვის რეჟისორის სანდრო
ახმეტელის სახელის მინიჭების შეახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, აკაკი ვასაძის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



სანდრო ჯბეცუაძის ქ.

X:484133 Y:4827054

X:484141 Y:4827063

X:484187 Y:4826995

X:484194 Y:4826992

X:484632 Y:484638

X:484638 Y:484638

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--ივნისი 2024 წელი**

**ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის
რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორისა და სცენარისტის დევი აბაშიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



X-4808-17-Y-4623837

දෙවන වර්ගයේ

X-481737-Y-4623

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ივნისი 2024 წელი**


**ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, წნორისწყლის და „დ“ ქუჩებისთვის
რეჟისორისა და მხასიობის აკაკი ვასაძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, წნორისწყლის ქუჩას მიენიჭოს რეჟისორისა და მხასიობის აკაკი ვასაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. სამგორის რაიონში, „დ“ ქუჩას მიენიჭოს აკაკი ვასაძის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



X:490135 Y:4615508

X:490138 Y:4615487

X:490143 Y:4615478

X:490216 Y:4615259

X:490214 Y:4615218

X:489863 Y:4615287

X:490205 Y:4614736

I qbl.

3330 3655dab f.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი, საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ კინორეჟისორს, სცენარისტს და საზოგადო მოღვაწეს ბატონ დევი აბაშიძეს ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში. 1957 წლიდან გარდაცვალებამდე (4 აგვისტო, 2005წ) ბატონი დევი აბაშიძე მუშაობდა რეჟისორად კინოსტუდია „ქართულ ფილმი“-ში. მისი სცენარით და მის მიერ გადაღებული ფილმები (როგორც დამდგმელ რეჟისორს: „დიდოსტატის მარჯვენა“ ვ.ტაბლიაშვილთან ერთად, „ყვარყვარე“, „ომი ყველასთვის ომია“ „გამოაღეთ ფანჯრები“, წითელი პატეფონი“, „ყველა კომეტა როდი ქრება“, „ჩამირული ქალაქის მაძიებლები“; როგორც სცენარისტს: „წითელი პატეფონი“, „ომი ყველასთვის ომია“, „ყვარყვარე“; როგორც მეორე რეჟისორს: „ნინო“, „ქიაკოკონა“, „ალავერდობა“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „უყაიმო თამაში“), მათი თანადროულობის გამო კვლავ მთელი საქართველოს ტელეეკრანებზეა. ბატონ დევი აბაშიძეს მიღებული აქვს ჯილდოები:

- საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1980)
- ღირსების მედალი (1994)
- ღირსების ორდენი (1999)

2024 წლის 1 მაისს 100 წელი სრულდება ბატონი დევი აბაშიძის დაბადებიდან (1 მაისი, 2024წ). ამ თარიღთან დაკავშირებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისის ერთერთ უბანში რომელიმე ქუჩას ეწოდოს მისი სახელი. ვფიქრობთ, ამგვარი ინიციატივა აუცილებელია და იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ აუცილებლად დაგვიჭერთ მხარს ამ ინიციატივის დროულად განხორციელებაში.

- კინორეჟისორი ელდარ შენგელაია
- კინომსახიობი მურომან ჯინორია
- კინომსახიობი ზაზა კოლეღიშვილი
- კინომსახიობი დავით კვიციანი

Handwritten signatures and names:
ქ. შენგელაია
მ. ჯინორია
ზ. კოლეღიშვილი
დ. კვიციანი

ლევან აგაძის 01006005659
577 077 077
12.04.2024

ახმეტელის
თეატრი



AKHMETELI
THEATRE

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს,
ბატონ კონსტანტინე ჯარნაძეს

ბატონო კონსტანტინე,

მოგესხენებათ თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი მდებარეობს გლდანში, აკ. ვასაძის ქუჩაზე. სანდრო ახმეტელი რეფორმატორი ქართველი რეჟისორი იყო, მისი ღვაწლი ქართული თეატრისა და კულტურის ისტორიაში გამორჩეულია, ახმეტელი ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე შლიდა შემოქმედებას და ქმნიდა განუმეორებელ თეატრალურ ხელოვნებას.

მოგმართავთ სანდრო ახმეტელის თეატრის დასის სახელით. გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიასთან, რომ ქუჩას, სადაც მდებარეობს სანდრო ახმეტელის თეატრი - შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სანდრო ახმეტელის ქუჩა (აკაკი ვასაძის ქუჩის ნაცვლად).

პატივისცემით,

თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორი,

თამაზ ჯაფარიძე

14.02.2023



მის: აკ. ვასაძის ქ. 14
ტელ: 032 2657277

Add: Ak. Vasadze Str. 14
Tel: 032 2657277

Email: theatreakhmeteli@gmail.com
Web: www.akhmetelitheatre.ge



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY



წერილის ნომერი: **03-032304673**
თარიღი: **15/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ წერილობით მომმართა „თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“-ს დირექტორმა, ბატონმა თამაზ ჯაფარიძემ. მოგვეხსენებათ, "თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი" მდებარეობს გლდანში, აკ. ვასაძის ქუჩაზე. სანდრო ახმეტელის ღვაწლი ქართული თეატრის და კულტურის ისტორიაში ფასდაუდებელია, ის იყო ქართველი რეფორმატორი რეჟისორი და ქმნიდა განუმეორებელ თეატრალურ ხელოვნებას.

ბატონმა თამაზ ჯაფარიძემ მომმართა „სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“-ს დასის სახელით, თხოვნით, რომ ქუჩას - რომელზეც მდებარეობს „სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“ , შევცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სანდრო ახმეტელის ქუჩა (აკაკი ვასაძის ქუჩის ნაცვლად).

დანართი: 01 ფურცელი

პატივისცემით,

კონსტანტინე ზარნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





სანდრო ახმეტელი

(1886-1937)

რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს სახალხო არტისტი

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ 1886 წელს, 14 აპრილს, სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის თომა მოციქულის სამრევლო ეკლესიის დიაკვანს, ვასილ დავითის ძე ახმეტელიშვილს და მის მეუღლეს, მარიამ ივანეს ასულ ოდიშელიძეს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც ალექსანდრე დაარქვეს. ახალშობილი ოთხი დღის მერე, იმავე ეკლესიაში მონათლეს. ნათლია ყოფილა მნათეს დიმიტრი ახმეტელიშვილის მეუღლე – ქრისტინე.

ოჯახი 1891 წლიდან საცხოვრებლად გადადის თელავში. მამამისი სოფელ კოლოთოს ეკლესიის მღვდელი იყო.

1900 წელს სანდრო ახმეტელმა დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. ოჯახი შემდეგ განჯაში გადადის და სანდროც განჯის გიმნაზიის მოსწავლე ხდება. იგი თავისუფალი აზროვნებისათვის გიმნაზიიდან გარიცხეს. ძლივს აღადგინეს თბილისის გიმნაზიაში, სადაც გიმნაზიის ინსპექტორი ყოფილა ქართული კულტურის დიდი მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი. სანდროს ჯერ კიდევ მაშინ იზიდავდა თეატრი და მისი ცხოვრება.

1905 წელს დაიჭირეს თავისუფალი აზრის გამოხატვისათვის. შემდეგ მიდის თელავში, სწორედ აქ გაიცნო ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის ივანე როსტომაშვილის ასული ტასო. 1907 წელს ტასოზე ჯვარი დაიწერა. იმავე წელს კი ვაჟი — შალვა შეეძინათ.

* 1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მასთან უსწავლია შალვა ნუცუბიძეს და გიორგი ციციშვილს. უნივერსიტეტში სწავლისას შეუქმნია აეროპლანის მოდელი, რასაც აქვეყნებს იმდროინდელი „ცნობის ფურცელი“. 1910 წელს ქვემო მაჩხაანში პირველად გვევლინება, როგორც რეჟისორი. აქ დადგა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა „ღალატი“. სანდრო თვითონ ჰქმნიდა გრიმებს და კოსტიუმების მოდელებს. 1919 წელს თბილისის საოპერო სტუდიაში დადგა დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1920 წელს მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დადგა სანდრო შანშიაშვილის „ბერდო ზმანია“. 1923 წელს კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია რეჟისორად თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში. შემდეგ იყო ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი, 1926-1935 წლებში - სამხატვრო ხელმძღვანელი. 1924 წელს ახმეტელი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის“ დაარსებისა 919240. იგი იყო კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი 9ჯონ სინგის „გმირი“, 1923; სანდრო შანშიაშვილის „ჰერეთის გმირები“, უილიამ შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები“, ორივე 1924 და სხვა.

1928 წელს ახმეტელმა დადგა ბორის ლავრენიოვის „რღვევა“, რომელიც გარკვეული ეტაპი იყო რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში, და სანდრო შანშიაშვილის „ანზორი“. ამ სპექტაკლებში კლასობრივი ბრძოლის ფონზე გახსნილია ახალი ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო. ახმეტელმა „ანზორში“, შალვა დადიანის „თეთნულდა“ და ვლადიმერ კირშონის „ქართა ქალაქში“ მასობრივი სცენების საშუალებით, მასისა და ინდივიდის დაპირისპირების შედეგად გამოავლინა ახალი ეპოქის ხასიათი და კოლექტივიზმის ძალა. ახმეტელის შემოქმედებაში ახალი სიტყვა იყო ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღების“ დადგმა (თანადადგმელი შოთა აღსაბაძე) აქ ყაჩაღთა ბრბო გამოყვანილი იყო ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზებულ ძალად.

ახმეტელის მიერ შექმნილ სპექტაკლებში აისახა გრანდიოზული ისტორიული მოვლენების შედეგად დამყარებული ახალი საზოგადოების დამოკიდებულებანი, ჩავგრისაგან განთავისუფლებული ადამიანის ინდივიდუალობა. მის შემოქმედებაში ვლინდებოდა თანამედროვე თეატრის ამაღლებული სული, ჰეროიკა, ქართული ხალხური თეატრის იმპროვიზიციული თავისებურებები. ემოციურობა, გამომგონებლობა, ჰარმონიულობა, დინამიკურობა, ოსტატურად დადგმული მასობრივი სცენები, რომლებშიც ფართოდ იყენებდა ქართული სიმღერებსა და ცეკვებს. სანდრო ახმეტელი თავისუფალი აზროვნებისთვის იდეენებოდა. ათი წელი გრძელდებოდა მისი დამუშავება ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით. ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდა მისთვის 1930 წლის წარმატებები მოსკოვის თეატრში. „ლამარას“ ნახვის შემდეგ იოსებ სტალინსაც სხვანაირი აზრები გაუჩნდა მის მიმართ. რეჟისორული გადაწყვეტითა და ეროვნული სულისკვეთებით საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გრიგოლ რობაქიძის „ლამარამ“. საბჭოთა ხელმძღვანელების მოთხოვნის მიუხედავად, ახმეტელმა უცხოეთში ემიგრირებული

რობაქიძის პიესა რეპერტუარიდან არ მოხსნა, რაც თეატრში ნაციონალური სულის მკაფიო გამოხატულებად მიიჩნის. 1930 წელს, ბერიას უშუალო ბრძანების საფუძველზე, რუსთაველის თეატრი საზღვარგარეთ გასტროლებზე არ გაუშვეს.

ბერიამ ისარგებლა იმ დაპირისპირებით, რომელიც რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელსა და თეატრის წამყვან მსახიობებს აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძეს შორის არსებობდა და ყველანაირად ეცადა, კიდევ უფრო გაეღრმავებინა კონფლიქტი.

შუღლი თეატრალებს შორის იმით დასრულდა, რომ სანდრო ახმეტელმა აკაკი ვასაძე დააქვეითა, ხოლო აკაკი ხორავა საერთოდ გააძევა თეატრიდან. ახმეტელმა არ შეასრულა ბერიას უშუალო ბრძანება და ხორავა და ვასაძე თავიანთ ძველ თანამდებობებზე არ აღადგინა. ბერიას მიმართ გამოცხადებულმა ამ დაუმორჩილებლობამ სანდრო ახმეტელის შემოქმედებასა და ცხოვრებას წერტილი დაუსვა. სანდრო ახმეტელი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

სანდრო ახმეტელი სამუშაოდ მოსკოვში, „მწვანე თეატრში“ გადავიდა. სამშობლოდან განდევნილი რეჟისორი მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო, მაგრამ იგი სასჯელს მაინც ვერ გადაურჩა. სწორედ „მწვანე თეატრში“ 1936 წლის 19 ნოემბერს აიყვანეს სანდრო ახმეტელი და მოსკოვიდან თბილისში იქნა ეტაპირებული. მისი დაპატიმრების შესახებ დადგენილება 1936 წლის 5 დეკემბერს გამოიცა, თავად ახმეტელს წარედგინა 7 დეკემბერს – დაკავებიდან 18 დღის შემდეგ. სანდრო ახმეტელი პროკურორის სანქციის გარეშე დააპატიმრეს. პროკურორს მონაწილეობა არ მიუღია არც წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლო პროცესში.


222 დღე გრძელდებოდა მისი წამება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირველი სამი თვის განმავლობაში ის ყველა ბრალდებას უარყოფდა, მაგრამ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ ყველა წაყენებული ბრალდება აღიარა. ბერიას მითითებით, სასტიკი წამებისგან დაუძლურებული სანდრო ახმეტელი ღია მანქანით რუსთაველზე გაატარეს, რათა ხალხს ენახა, რა ბედი ელოდა „ხალხის მტერსა და მავნებელს“. ბერიას ეს აქტი მიზნად ისახავდა თეატრის წინ საგანგებოდ გამოყვანილი მსახიობების დაშინებასაც.

კომუნისტურმა რეჟიმმა სანდრო ახმეტელი ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანაშაულა. ამასთანავე, მას ტროცკისტულ-ზინოვიევიური ორგანიზაციის წევრობა და ხელოვნების სფეროში მავნებლური საქმიანობა ედებოდა ბრალად. თითქოს ახმეტელს, სხვა რესპუბლიკების ეროვნული თეატრების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, მეამბოხეთა სამხედრო დაჯგუფებები ჰქონდა შექმნილი ბაქოში, სოხუმში, გროზნოსა და თბილისში. ტერორისტულ ორგანიზაციაში თანამონაწილეობა არ აკმარეს და რეჟისორს ისიც კი დააბრალეს, რომ ლავრენტი ბერიასა და იოსებ სტალინის ფიზიკური განადგურება ჰქონდა განზრახული. დააპატიმრეს მეუღლეც თამარ წულუკიძე-ახმეტელი.

1937 წლის 28 ივნისს ალექსანდრე ახმეტელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა 9ქონების კონფისკაციით; ხოლო თამარ წულუკიძე-ახმეტელს — ათი წლით თავისუფლების აღკვეთა.

სანდრო ახმეტელი 1937 წლის 29 ივნისს დახვრიტეს.

1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ალექსანდრე ახმეტელის და მისი მეუღლის თამარ წულუკიძე-ახმეტელის რეაბილიტაცია მოახდინა.



დევი აბაშიძე

(1934-2005)

რეჟისორი და სცენარისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა 1924 წელს სოფელ ისლარში(ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) 1941 წელს დაამთავრა ხარაგაულის მე-2 საშუალო სკოლა. 1941–1944 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, საიდანაც გარიცხეს, ტროცკისტის შვილობის ბრალდებით. 1944–1948 წლებში მუშაობდა მსახიობად სხვადასხვა თეატრსა და სახელმწიფო ანსამბლში. 1948 წელს ჩაირიცხა და 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი. 1957 წლიდან მუშაობდა რეჟისორად კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. როგორც რეჟისორს გადაღებული აქვს ფილმები:

„წითელი პატეფონი“ (1995)

„ომი ყველასთვის ომია“ (1990)

„ყველა კომეტა როდი ქრება“ (1982)

„ყვარყვარე“ (1978)

„ჩაძირული ქალაქის მაძიებლები“ (1972)

„დიდოსტატის მარჯვენა“ (1970)

როგორც სცენარისტი მუშობდა ფილმებზე:

„წითელი პატეფონი“ *1995)

„ომი ყველასთვის ომია“ (1990)

„ყვარყვარე“ (1978)

როგორც მეორე რეჟისორი:

„ნინო“ 91959)

„ჭიაკოკონა“ (1961)

„ალავერდობა“ (1962)

„ბოდში, თქვენ გელით სიკვდილი“ (1965)

დადგმული აქვს შემდეგი სპექტაკლები: კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, „მკაცრი ქალიშვილები“, კ. ჯაკობეტის „დამნაშავეს ოჯახი“, დ. გორგაძის „ნაცნობი სახეები“ და სხვ. 1957 წლიდან იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი.

დაჯილდოებული იყო ღირსების მედლითა და ღირსების ორდენით.



აკაკი ვასაძე

(1899-1978)

მსახიობი, რეჟისორი

დაიბადა 1899 წელს ქუთაისში. 1917 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. 1920 წელს დაამთავრა გიორგი ჯაბადარის დრამატული სტუდია თბილისში. 1916 წელს დაიწყო სასცენო მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში. 1921 წელს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს გადიოდა პირველი რესპუბლიკის ჯარში. ასპინძის მე-9 ათასეულის შემადგენლობაში მონაწილეობდა 1921 წლის მარტის ბათუმის ბრძოლაში.

1920-1958 წლებში მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში. 1935-1955 წლებში იყო ამავე თეატრის, ხოლო 1958-1968 წლებში იყო ქუთაისის მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1923 წლიდან მოღვაწეობდა კინოში. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: შაჰ-აბასი („გიორგი სააკაძე“), მამასახლისი („მაგდანას ლურჯა“), ფარსმან სპარსი („დიდოსტატის მარჯვენა“). 1926 წლიდან ეწეოდა რეჟისორულ მოღვაწეობას.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.